შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ – ქვეყნის სპეციფიკური დებულებები
Roche Diabetes Care-ის ციფრული პროდუქტები და სერვისები

ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 1 ივნისი

11. ქვეყნის სპეციფიკური დებულებები

დააწკაპუნეთ აქ შესაბამის ქვეყანაზე გადასასვლელად: არგენტინა | ავსტრალია | ბელგია | ბრაზილია | ჩილე | კოლუმბია | ხორვატია | ჩეხეთის რესპუბლიკა | ეკვადორი | ევროკავშირი | საფრანგეთი | გერმანია | მალაიზია | მექსიკა | ნიდერლანდები | პანამა | პერუ | ფილიპინები | სინგაპური | სლოვენია | სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა | ესპანეთი | შვედეთი | შვეიცარია | ტაილანდი | თურქეთი | გაერთიანებული სამეფო | ურუგვაი | აშშ |

11.1 არგენტინა

თუ არგენტინაში ცხოვრობთ, კონფიდენციალურობის შესახებ წინამდებარე შეტყობინების შინაარსისა და თქვენს პერსონალურ მონაცემებზე უფლებების სამართლებრივი საფუძველი რეგულირდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით №25.326 და მასთან დაკავშირებული რეგულაციებით.

პერსონალური მონაცემების დაცვის ეროვნული სამმართველო (DNPDP), რომელიც საჯარო ინფორმაციაზე წვდომის სააგენტოს ეგიდით მოქმედებს და წარმოადგენს №25.326 კანონის აღმასრულებელ ორგანოს, უფლებამოსილია უპასუხოს ყველა იმ შეკითხვას, საჩივარს ან პრეტენზიას, რომელიც პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს უკავშირდება. მისამართი: Av. Pte. Gral. Julio A. Roca 710, 2nd Floor, Autonomous City of Buenos Aires, Argentina; ტელეფონი: (011) 2821-0047, შიდა 8846; ელფოსტის მისამართი: datospersonales@aaip.gob.ar.

11.2 ავსტრალია

თუ ავსტრალიაში ცხოვრობთ, კონფიდენციალურობის შესახებ წინამდებარე შეტყობინების შინაარსისა და თქვენს პერსონალურ მონაცემებზე უფლებების სამართლებრივი საფუძველი რეგულირდება 1988 წლის კონფიდენციალურობის შესახებ კანონით (Privacy Act 1988 (Cth)) („კანონი“).

პერსონალური ინფორმაციის უცხოეთში გამჟღავნება
თქვენ მიერ მოწოდებული ან თქვენთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს, შენახული იქნეს და დამუშავდეს ავსტრალიაში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, სადაც Roche ან მთელ მსოფლიოში მისი აფილირებული კომპანიები, ასევე მათი კონტრაქტორები ან აგენტები ფლობენ თავიანთ ობიექტებს, მათ შორის აშშ-ში და ევროკავშირის ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია.
თქვენი პერსონალური ინფორმაცია შეიძლება გაერთიანდეს Roche-ის სხვა წყაროებიდან მიღებულ მონაცემებთან და ინახებოდეს ან მუშავდებოდეს მონაცემთა ბაზების კომპიუტერულ ან ვებსისტემებში, რომლებიც მდებარეობს ავსტრალიის ფარგლებს გარეთ ისეთ იურისდიქციებში, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი და აშშ, სადაც კონფიდენციალურობის შესახებ კანონმდებლობა ავსტრალიურისგან შესაძლოა განსხვავდებოდეს.
თქვენი პერსონალური ინფორმაცია შეიძლება ინახებოდეს, იმართებოდეს და მუშავდებოდეს მონაცემთა ბაზების კომპიუტერულ ან ვებსისტემებში, რომლებზეც წვდომა შეიძლება ჰქონდეთ გლობალურ Roche ჯგუფში შემავალ აფილირებულ კომპანიებს („Roche-ის აფილირებული კომპანიები“), მათთან მომუშავე

მესამე პირებს და/ან შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებს, ან კანონით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.

თუ ინფორმაცია ავსტრალიის ფარგლებს გარეთ გადაიცემა, Roche, მოქმედი სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით, შესაბამის გარანტიებს უზრუნველყოფს (როგორიცაა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები), რათა ამ იურისდიქციებში თქვენი პერსონალური ინფორმაციის სათანადო დაცვა მოხდეს.

პერსონალურ მონაცემების უსაფრთხოების დარღვევა
თუ Roche შეიტყობს, რომ მესამე პირმა თქვენს პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომა მოიპოვა ან ნებართვის გარეშე გამოიყენა და ამგვარი დარღვევა სავარაუდოდ სერიოზული ზიანის რისკს გიქმნით, Roche შეეცდება დაუყოვნებლივ დაგიკავშირდეთ და ასევე ავსტრალიის ინფორმაციის დარგში კომისრის სამმართველოს (Office of the Australian Information Commissioner) აცნობოს.

კონტაქტი
მუდმივად ვცდილობთ ჩვენი პროცედურები უფრო მოსახერხებელი გავხადოთ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ თქვენი პერსონალური ინფორმაცია სწორად და უსაფრთხოდ იქნეს დამუშავებული. თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა, ან ჩვენი კონფიდენციალურობის პრაქტიკის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება გსურთ, გთხოვთ, ერთ-ერთი შემდეგი გზით Roche-ს დაუკავშირდეთ:
ფოსტა: Attn: Privacy Officer, Roche Diabetes Care Australia Pty Ltd, PO Box 6266, North Ryde NSW 2113
ელფოსტა: australia.dc_privacy-request@roche.com

11.3 ბელგია

თუ ციფრულ პროდუქტს ბელგიაში იყენებთ, თქვენზე ვრცელდება შემდეგი პირობები, რომლებიც ჩართულია წინამდებარე შეტყობინებაში კონფიდენციალურობის შესახებ და მის ნაწილს წარმოადგენს.
თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე შეტყობინებაში კონფიდენციალურობის შესახებ, განხორციელდება 2018 წლის 30 ივლისის ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული კანონის (GDPR-ის იმპლემენტაციის კანონის) და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (2016/679/EU) „GDPR“-ის შესაბამისად.
თქვენი კონფიდენციალურობის უფლებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ან თუ ვერ ახერხებთ პრობლემის პირდაპირ Roche-თან მოგვარებას და გსურთ საჩივრის შეტანა, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ბელგიის მონაცემთა დაცვის სამმართველოს, რომელიც პასუხისმგებელია ბელგიაში კონფიდენციალურობის კანონმდებლობის დაცვაზე, ელფოსტის მისამართზე: contact@apd-gba.be.

11.4 ბრაზილია

თუ ბრაზილიაში ცხოვრობთ, თქვენი უფლებები და პერსონალური მონაცემები ბრაზილიის მონაცემთა ზოგადი დაცვის კანონით რეგულირდება (Lei Geral de Proteção de Dados do Brasil (LGPD)).

11.5 ჩილე

თუ ჩილეში ცხოვრობთ, თქვენი უფლებები და მონაცემები პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ კანონით №19.628 რეგულირდება (Ley de Protección a la Vida Privada)

11.6 კოლომბია

თუ კოლომბიაში ცხოვრობთ, თქვენი უფლებები და მონაცემები რეგულირდება 2012 წლის კანონით 1581, 2013 წლის დადგენილებით

1377, 2015 წლის დადგენილებით 1074 და მათი შემდგომი დაზუსტებული ან შეცვლილი რეგულაციების შესაბამისად. გაითვალისწინეთ: (i) უფლება გაქვთ მოითხოვოთ თქვენს მონაცემებზე წვდომა, მათი შესწორება, წაშლა და/ან მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის გაუქმება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემების შენახვა აუცილებელია სამართლებრივი ან საკონტრაქტო ვალდებულების შესასრულებლად; (ii) თქვენი პერსონალური მონაცემების Roche-ის მიერ დამუშავება განხორციელდება წინამდებარე დოკუმენტში მითითებული მიზნების შესაბამისად; (iii) ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხი, რომელიც სენსიტიური მონაცემების მოწოდებას ეხება, არის არასავალდებულო; (iv) ნებისმიერი შეკითხვით ან მოთხოვნით, რომელიც უკავშირდება თქვენს მონაცემებს, შეგიძლიათ მიმართოთ Roche-ს, როგორც ეს აღწერილია ზემოთ განყოფილებაში „დაგვიკავშირდით“.

11.7 ხორვატია

თუ ცხოვრობთ და იყენებთ ციფრულ პროდუქტებს ხორვატიაში, თქვენზე ვრცელდება ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (General Data Protection Regulation – GDPR, 2016/679/EU) და მის იმპლემენტაციის შესახებ ხორვატიის კანონის (Zakon o provedbi Opće uredbe o zaštiti podataka, Official Gazette, No. 42/18) დებულებები. თქვენი კონფიდენციალურობის უფლებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ან თუ ვერ ახერხებთ პრობლემის პირდაპირ Roche-თან მოგვარებას და გსურთ საჩივრის შეტანა, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ხორვატიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტოს (Agencija za zaštitu osobnih podataka), რომელიც პასუხისმგებელია ხორვატიაში კონფიდენციალურობის კანონმდებლობის დაცვაზე, ელფოსტის მისამართზე: azop@azop.hr.

11.8 ჩეხეთის რესპუბლიკა

თუ ჩეხეთის რესპუბლიკაში ცხოვრობთ, მაშინ თქვენზე სრულად ვრცელდება კონფიდენციალურობის შესახებ წინამდებარე შეტყობინებაში შემავალი შემდეგი პირობები, რომლებიც მის ნაწილს წარმოადგენს.
თქვენი პერსონალური მონაცემები, როგორც ეს აღწერილია კონფიდენციალურობის შესახებ წინამდებარე შეტყობინებაში, დამუშავდება კანონის №110/2019 Sb., პერსონალურ მონაცემთა დამუშავები შესახებ კანონის (ყველა შემდგომი ცვლილების გათვალისწინებით) და GDPR-ის დებულებების შესაბამისად.
GDPR-ის მუხლის 14(2)(ე) პუნქტის შესაბამისად გაქვთ უფლება საზედამხედველო ორგანოში საჩივარი შეიტანოთ. მისამართი: Úřad pro ochranu osobních údajů, Pplk. Sochora 27, 170 00 Praha 7, Czech Republic, ტელეფონის ნომერი: +420 234 665 111, ელფოსტის მისამართი: posta@uoou.cz.

11.9 ეკვადორი

თუ ეკვადორში ცხოვრობთ, თქვენი უფლებები და პერსონალური მონაცემების დამუშავება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანული კანონით რეგულირდება (Ley Orgánica de Protección de Datos Personales) (Oficio № T. 680-SGJ-21-0263)

11.10 ევროკავშირი

თუ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (EU) 2016/679 ვრცელდება („GDPR“): ევროკავშირში წარმომადგენელი არის კომპანია Roche Privacy GmbH, Emil-Barell-Str. 1, D-79639 Grenzach-Wyhlen, eu.representative.privacy@roche.com.

11.11 საფრანგეთი

თუ ციფრულ პროდუქტს საფრანგეთში იყენებთ, თქვენზე ვრცელდება შემდეგი პირობები, რომლებიც ჩართულია წინამდებარე შეტყობინებაში კონფიდენციალურობის შესახებ და მის ნაწილს წარმოადგენს.

კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინების დებულებები გამოიყენება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ისინი დაშვებულია საფრანგეთის მოქმედი კანონმდებლობით.
წინამდებარე შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ საფრანგეთის კანონმდებლობით რეგულირდება. პერსონალური მონაცემების შესახებ მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, თითოეულ პირს გააჩნია უფლება: გაეცნოს მის შესახებ დამუშავებულ ინფორმაციას, მოითხოვოს მონაცემების შესწორება, დამუშავების შეზღუდვა, გადატანა, თანხმობის გაუქმება, პროტესტის გამოხატვა ან ამ მონაცემების წაშლა. ასევე, მას შეუძლია განსაზღვროს ინსტრუქციები, რომლებიც ეხება პერსონალური მონაცემების უტილიზაციას მისი გარდაცვალების შემდეგ.
იმ პირებს, რომელთა პერსონალური მონაცემები მოწოდებულია Roche Diabetes Care France-ის მიერ, შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი უფლებები შემდეგ მისამართზე მიმართვის გაგზავნის გზით: france.diabetescare-rgpd@roche.com და იმ შემთხვევაში, თუ თვლიან, რომ მათი პირადი უფლებები არ არის დაცული, შეუძლიათ საჩივარი შეიტანონ საფრანგეთის მონაცემთა დაცვის ეროვნულ კომისიაში (CNIL) (www.cnil.fr).

11.12 გერმანია

mySugr-ის ზოგიერთი პროდუქტი და სერვისი შესაძლოა კანონით დადგენილი ჯანდაცვის პროგრამების ნაწილს წარმოადგენდეს, მაგალითად, გერმანიის ციფრული ჯანდაცვის შესახებ კანონი („ციფრული ჯანდაცვის აპლიკაცია“). ციფრული ჯანდაცვის აპლიკაციების მომხმარებელთა მონაცემები დამუშავდება ყველა იმ სამართლებრივი მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც ამ განყოფილებაში დეტალურადაა განსაზღვრული.

ციფრული ჯანდაცვის აპლიკაციების მომხმარებელთა მონაცემები არ მუშავდება პროდუქტის გაუმჯობესებისა და მარკეტინგული მიზნებისთვის. რაც შეეხება მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძველს, რომელიც რეგულაციებს ეფუძნება, ციფრული ჯანდაცვის აპლიკაციების მომხმარებელთა მონაცემების დამუშავება მხოლოდ პაციენტის უსაფრთხოების მიზნით შესრულდება (შეტყობინება ინციდენტის შესახებ BfArM-ში), 5.3 განყოფილების შესაბამისად.

11.13 მალაიზია

თუ მალაიზიაში ცხოვრობთ, თქვენი უფლებები და პერსონალური მონაცემები 2010 წლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით („PDPA 2010“) და შესაბამისი ნორმატიული აქტებით რეგულირდება.

11.14 მექსიკა

თუ მექსიკაში ცხოვრობთ, შემდეგი დამატებითი განყოფილებები იქნება გამოყენებული, შეავსებს ნებისმიერ დებულებებს ან თუ წინააღმდეგობაში შევა კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინებასთან,
მათ შინაარსს უპირატესობა მიენიჭება.
წინამდებარე შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ კერძო პირების მიერ შენახული პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ფედერალური კანონის, მისი დებულებისა და კონფიდენციალურობის შეტყობინების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად კონფიდენციალურობის შესახებ სრულ შეტყობინებად მოიაზრება.
დამუშავების მიზნები. პერსონალური მონაცემების გამოყენება ხელშეკრულების შესრულებისა და სამართლებრივი ვალდებულებების მიზნებისთვის ძირითადი მიზნად ითვლება; ხოლო პერსონალური მონაცემების გამოყენება პროდუქტის გაუმჯობესებისა და ისეთი ინფორმაციის მოწოდებისთვის, რომელიც სცდება ხელშეკრულების ფარგლებს (მაგ., პროდუქტისა და სერვისების შესახებ სიახლეების გაგზავნა), ითვლება დამხმარე მიზნად. ამ დამხმარე მიზნების გამოყენებაზე შეგიძლიათ უარი თქვათ, როგორც ეს კონფიდენციალურობის შესახებ წინამდებარე შეტყობინებაშია მითითებული.

მონაცემთა გადაცემა. თქვენი თანხმობა არ არის საჭირო, როდესაც პერსონალური მონაცემები გადაეცემა ჩვენს ჰოლდინგურ კომპანიას,
აფილირებულ ან შვილობილ კომპანიებს მექსიკაში ან მის ფარგლებს გარეთ, ან იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცემა აუცილებელია კანონით, სასამართლოს ან
ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით.
ჩვენს მონაცემთა დამმუშავებლებთან თქვენი მონაცემების გაზიარება არ მიიჩნევა გადაცემად და არ საჭიროებს თქვენს თანხმობას.

თქვენი უფლებები. თქვენ გაქვთ უფლება იცოდეთ, რა ტიპის პერსონალური მონაცემები გვაქვს თქვენ შესახებ და როგორ პირობებში ხდება მათი
დამუშავება (წვდომა); მოითხოვოთ ინფორმაციის შესწორება, თუ იგი მოძველებული,
არაზუსტი ან არასრულია (შესწორება); მოითხოვოთ მისი წაშლა ჩვენი ბაზებიდან ან ჩანაწერებიდან
(წაშლა); ასევე შეგვიძლია შეეწინააღმდეგოთ კონკრეტული მიზნებისთვის მონაცემების გამოყენებას (შეწინააღმდეგება). ეს უფლებები ცნობილია, როგორც ARCO უფლებები.

ARCO-ს ნებისმიერი უფლების გამოსაყენებლად კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინების მე-8 განყოფილებაში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე უნდა გაგზავნოთ მოთხოვნა შემდეგი მონაცემებით: (i) სახელი და გვარი; (ii) ოფიციალური პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, ამომრჩევლის ბარათი ან მართვის მოწმობა); (iii) იმ პირადი მონაცემის ზუსტი აღწერილობა, რომელთა წვდომა, გასწორება, წაშლა ან გაპროტესტება გსურთ; და (iv) ან ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც თქვენი მონაცემების ძიებას ამარტივებს.
მონაცემთა მაკონტროლებელი 20 დღეში მოგაწვდით ინფორმაციას იმის შესახებ, დაკმაყოფილდება თუ არა მოთხოვნილი ARCO-ს უფლება.

ჩვენს პასუხში იქნება მითითებული, განიხილება თუ არა მოთხოვნა და დადებითი პასუხის შემთხვევაში, მისი შესრულება
15 სამუშაო დღეში იქნება უზრუნველყოფილი. ამ ვადების გაგრძელება შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობით
გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. თუ გამოიყენებთ წვდომის უფლებას, მონაცემები ციფრული ფორმატით მოგეწოდებათ.
ასევე გაქვთ უფლება გააუქმოთ თანხმობა თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე
და შეზღუდოთ მათი გამოყენება ან გამჟღავნება. გაითვალისწინოთ, რომ თქვენი მოთხოვნა შესაძლოა
დაუყოვნებლივ ვერ დავაკმაყოფილოთ, რადგან კანონით იყოს აუცილებელი თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების გაგრძელება.

ავტომატური ტექნოლოგიები. შესაძლოა გამოვიყენოთ ავტომატური ტექნოლოგიები, რათა თქვენ მიერ ციფრული პროდუქტების გამოყენებასთან დაკავშირებული
პერსონალური მონაცემები შევაგროვოთ.

11.15 ნიდერლანდები

თუ ციფრულ პროდუქტს ნიდერლანდებში იყენებთ, თქვენზე ვრცელდება შემდეგი პირობები, რომლებიც ჩართულია წინამდებარე შეტყობინებაში კონფიდენციალურობის შესახებ და მის ნაწილს წარმოადგენს. თქვენი პერსონალური მონაცემები, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე შეტყობინებაში კონფიდენციალურობის შესახებ, დამუშავდება მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის ევროკავშირის ზოგადი რეგულაციის იმპლემენტაციის ნიდერლანდების კანონის (GDPR Implementation Act) და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (2016/679/EU) („GDPR“), მოთხოვნების მიხედვით. თუ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება ჩვენ მიერ არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, შეგიძლიათ

საჩივრით მიმართოთ ნიდერლანდების მონაცემთა დაცვის ორგანოს: (https://autoriteitpersoonsgegevens.nl/nl ან ტელ.: +31 (0) 88 - 1805 250).

11.16 პანამა

თუ პანამაში ცხოვრობთ, კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინების შინაარსისა და თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებების სამართლებრივი საფუძველი
რეგულირდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით №81 და მისი ყველა შემდგომი ცვლილების გათვალისწინებით.
მომხმარებელს გააჩნია შემდეგი უფლებები: პერსონალურ მონაცემებზე წვდომა, მათი გასწორება (თუ მონაცემები არასწორია ან არაზუსტი), წაშლა და თანხმობის გაუქმება (როცა ეს მისაღებად ჩაითვლება). ამ უფლებების გამოყენება უნდა განხორციელდეს კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინების მე-8 განყოფილებაში მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის საშუალებით. ყველა მოთხოვნის განხილვა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების ფარგლებში მოხდება. წაშლისა და თანხმობის გაუქმების უფლებები ნებისმიერ შემთხვევაში განპირობებული იქნება Roche-ის მიერ მონაცემების შენახვის აუცილებლობით მხოლოდ მიმდინარე ვალდებულებების შესრულების მიზნით.

11.17 პერუ

ციფრული პროდუქტების საშუალებით შეგროვებული პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორციელდება პერსონალურ მონაცემთა
დაცვის შესახებ კანონით №29733, მისი დებულებების და უსაფრთხოების დირექტივის მკაცრი შესაბამისობით.
პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე შეტყობინებაში კონფიდენციალურობის შესახებ. პერსონალური მონაცემების გამოყენება პროდუქტისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის დაგზავნისთვის შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამისათვის ცალსახა თანხმობაა მიღებული.

ROCHE აცნობებს მომხმარებელს, რომ მას გააჩნია შემდეგი უფლებები: მონაცემებზე წვდომა, მათი განახლება, დამატება, გასწორება, წაშლა, მიწოდების შეწყვეტა, დამუშავებაზე ან მიზნობრივ დამუშავებაზე წინააღმდეგობის გამოხატვა, ასევე პირადი მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის გაუქმება. უფლებების რეალიზაცია შეუძლია მომხმარებელს, ან საჭიროების შემთხვევაში, მის წარმომადგენელს კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინების მე-8 განყოფილებაში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე მიმართვით, ან ხელმოწერილი მოთხოვნის გაგზავნით ქვემოთ მოცემულ მისამართზე: Calle Dionisio Derteano No. 144, interior 1301, district of San Isidro, ლიმას პროვინცია და დეპარტამენტი, ან ელფოსტის მისამართზე: peru.atencion_diabetes_care@roche.com. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: (i) მომხმარებლის სახელი და გვარი; (ii) შეტყობინებისთვის განკუთვნილი მისამართი; (iii) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პასპორტის ასლი; (iv) დასაბუთებული მოთხოვნა, რომელშიც განმარტებულია მოთხოვნის შინაარსი. წარმომადგენლობის მიერ გაგზავნის შემთხვევაში სავალდებულოა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. თუ მიიჩნევთ, რომ თქვენი უფლებების განხორციელებისას სათანადო მომსახურება არ მიგიღიათ, შეგიძლიათ საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნულ ორგანოს.

11.18 ფილიპინები

რეგულარული ტესტირების, შეფასებისა და ანალიზის პროცედურები (GDPR, მუხლი 32, პარაგრაფი 1, პუნქტი „დ“; GDPR, მუხლი 25, პარაგრაფი 1) ინციდენტებზე რეაგირების მართვა; მონაცემთა დარღვევის ინციდენტის შესახებ აფილირებული კომპანიების (PH) მიერ Roche Global Data Privacy-სგან შეტყობინების

მიღებისთანავე, ადგილობრივი სპეციალისტი მონაცემთა კონფიდენციალურობის დარგში ვალდებულია 24 საათის განმავლობაში გაგზავნოს შეტყობინება.

11.19 სინგაპური

თუ სინგაპურში ცხოვრობთ, თქვენი უფლებები და პერსონალური მონაცემები რეგულირდება 2012 წლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით („PDPA"). თქვენი თანხმობა Roche-ისა და/ან მის მიერ დანიშნული მესამე მხარის მიერ პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე, ამ შეთანხმების საფუძველზე, PDPA-ს მოთხოვნების შესაბამისად ინფორმაციის ატვირთვამდე მოიპოვება და გაზიარდება Roche-ის ციფრულ პროდუქტებში.

11.20 სლოვენია

თუ ცხოვრობთ და იყენებთ ციფრულ პროდუქტებს სლოვენიაში, თქვენზე ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის (Zakon o varstvu osebnih podatkov, Official Gazette №163/22) და ზოგადი მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR, EU 2016/679) დებულებები. თქვენი კონფიდენციალურობის უფლებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ან თუ ვერ ახერხებთ პრობლემის პირდაპირ Roche-თან მოგვარებას და გსურთ საჩივრის შეტანა, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სლოვენიის მონაცემთა დაცვის სამმართველოს (Informacijski pooblaščenec)(Informacijski pooblaščenec), რომელიც პასუხისმგებელია სლოვენიაში კონფიდენციალურობის კანონმდებლობის დაცვაზე, ელფოსტის მისამართზე: gp.ip@ip-rs.si.

11.21 სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

თუ ცხოვრობთ და იყენებთ ციფრულ პროდუქტებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, თქვენზე ვრცელდება 2013 წლის პერსონალური ინფორმაციის დაცვის კანონი №4 („POPI")

11.22 ესპანეთი

მონაცემთა დაბლოკვა. 5 დეკემბრის პერსონალური მონაცემების დაცვისა და ციფრული უფლებების გარანტიის შესახებ ორგანული კანონის 3/2018, 32-ე მუხლის
შესაბამისად („ორგანული კანონი 3/2018"), თუ მოცემულ
მუხლში მითითებული გამონაკლისები არ გამოიყენება, Roche დაბლოკავს მონაცემებს, რომლებიც
საჭიროებს გასწორებას ან წაშლას და მონაცემები დარჩება დაბლოკილი მანამ, სანამ დამუშავების შედეგად შეიძლება წარმოიშვას პასუხისმგებლობა
და მხოლოდ შესაბამისი ხანდაზმულობის ვადით. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ მონაცემები უნდა განადგურდეს.

11.23 შვედეთი

თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა, გსურთ მიიღოთ თქვენი მონაცემების ასლი, მოითხოვოთ პერსონალური მონაცემების შესწორება ან წაშლა, ან შეზღუდოთ მათი გამოყენება, მოგვმართეთ კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინების მე-8 განყოფილებაში მითითებული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით. თქვენ გაქვთ უფლება საჩივრით მიმართოთ შვედეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს Integritetsskyddmyndigheten, იმ შემთხვევაში, თუ თვლით, რომ თქვენი მონაცემების დამუშავება GDPR-ის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

11.24 შვეიცარია

თუ შვეიცარიაში ცხოვრობთ, თქვენზე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის ფედერალური კანონის (Data Protection Act – DSG) დებულებები, რომელიც მიღებულია 2020 წლის 25 სექტემბერს და ეფუძნება ფედერალური კონსტიტუციის მუხლებს: 95(1), 97(1), 122(1) და 173(2). კანონი ძალაში შევიდა 2023 წლის 1 სექტემბერს, ყოველი დებულება მოქმედებს მისი უახლესი რედაქციით, რამდენადაც ეხება სავალდებულო ან არადისპოზიციურ დებულებებს და
(ii) შემდეგ დამატებით დებულებებს:
თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების/შენახვის პერიოდი
თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ:

- მანამ, სანამ ეს აუცილებელია დამუშავების მიზნისთვის;
- მანამ, სანამ გვაქვს მონაცემების შენახვის კანონიერი ინტერესი;
- მანამ, სანამ გვაკისრია მონაცემების შენახვის სამართლებრივი ვალდებულება.

ამ პერიოდების გასვლის შემდეგ წავშლით პერსონალურ მონაცემებს ან მათ ანონიმიზაციას მოვახდენთ.

ინფორმაცია პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით თქვენი უფლებების შესახებ
შვეიცარიაში მოქმედი მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის პირობების შესაბამისად, თქვენს
პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით გაქვთ შემდეგი უფლებები:

- უფლება მიიღოთ ინფორმაცია შენახული პერსონალური მონაცემების შესახებ;
- უფლება შეასწოროთ არაზუსტი ან არასრული მონაცემები ან დაამატოთ შენიშვნა მონაცემებთან დაკავშირებული დავის შესახებ;
- უფლება მიიღოთ გარკვეული მონაცემების ასლი სტრუქტურირებულ, ხშირად გამოყენებად და მანქანით
- წაკითხვად ფორმატში, იმ შემთხვევაში, თუ დამუშავება ეფუძნება თქვენს თანხმობას ან აუცილებელია
- ხელშეკრულების შესრულებისთვის;
- უფლება შეეწინააღმდეგოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას;
- უფლება მოითხოვოთ მონაცემების წაშლა ან ანონიმიზაცია;
- უფლება შეზღუდოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება;
- უფლება გააუქმოთ თანხმობა, იმ შემთხვევაში, თუ პერსონალური მონაცემები მუშავდება თანხმობის საფუძველზე.

გაუქმება მოქმედებს მხოლოდ მომავალ დამუშავებაზე და თანხმობის გაუქმების შემთხვევაში კომპანია იტოვებს უფლებას განაგრძოს
მონაცემების დამუშავება სხვა სამართლებრივი საფუძვლით.
გასაჩივრების უფლება
ასევე, შეგიძლიათ გაასაჩივროთ თქვენი მონაცემების დამუშავება შესაბამის საზედამხედველო
ორგანოში. შვეიცარიაში ეს არის Eidgenössischen Datenschutz- und Öffentlichkeitsbeauftragten (EDÖB) [შვეიცარიის პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის კომისარი (FDPIC)].

11.25 ტაილანდი

თუ ტაილანდში ცხოვრობთ, თქვენი უფლებები და პერსონალური მონაცემები B.E. 2562 („PDPA“) შესაბამისად რეგულირდება. თქვენ თანხმობას აცხადებთ იმაზე, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდება PDPA-ს და სხვა შესაბამისი რეგულაციების მიხედვით.

11.26 თურქეთი

თურქეთში მცხოვრებ მომხმარებლებს ვთხოვთ, გაეცნონ ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას თქვენი პერსონალური

მონაცემების დამუშავების შესახებ:

იმისათვის, რომ მიიღოთ ინფორმაცია ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე, გაეცანით
შესაბამის განყოფილებებს:
● მონაცემთა მაკონტროლებლის და (არსებობის შემთხვევაში) მისი წარმომადგენლის ვინაობა ➔ „მონაცემთა მაკონტროლებელი“,
● პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები ➔ „როგორ ვიყენებთ პერსონალურ მონაცემებს და სამართლებრივი საფუძველი“;
● პირები, რომელთაც შესაძლოა გადაეცეს დამუშავებული პერსონალური მონაცემები და გადაცემის
მიზნები ➔ „თქვენი პერსონალური მონაცემების მიმღებები“;
● პერსონალური მონაცემების შეგროვების მეთოდი ➔ „შეგროვებული პერსონალური მონაცემების კატეგორიები და წყაროები“

გარდა ზემოთ აღნიშნული ინფორმაციისა, გაითვალისწინეთ, რომ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა განსხვავდებოდეს, რადგან
შესაბამისი საქმიანობა თურქეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის №6698 („KVKK“) მიხედვით ხორციელდება.
აქედან გამომდინარე, თითოეული დამუშავების მიზნისთვის სამართლებრივი საფუძველი შემდეგნაირად განისაზღვრება:
● „ციფრული პროდუქტების საშუალებით ძირითადი სერვისის მიწოდება“ ➔ ამ მიზნის სამართლებრივი საფუძველი არის თანხმობა
● „პროდუქტის გაუმჯობესებისთვის პერსონალური მონაცემების გამოყენება“ ➔ ამ მიზნის სამართლებრივი საფუძველი არის თანხმობა
● „პერსონალური მონაცემების გამოყენება კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისთვის“ ➔ ამ მიზნის სამართლებრივი საფუძველი არის სავალდებულო
სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება.
გარდა ზემოთ მოცემული ინფორმაციისა, გაითვალისწინეთ, რომ თურქეთის მონაცემთა დაცვის კანონის (KVKK) ფარგლებში გაქვთ შემდეგი უფლებები და მათ გამოსაყენებლად მოგვმართეთ ელფოსტის მისამართზე turkey.kvkk@roche.com:
ა) შეიტყოთ, დამუშავდა თუ არა მისი პერსონალური მონაცემები;
ბ) მოითხოვოთ ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ მისი მონაცემები უკვე დამუშავებულია;
გ) შეიტყოთ პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი და გამოიყენება თუ არა
ისინი მიზნობრივად;
დ) გაიგოთ ქვეყანის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მესამე მხარეების ვინაობა, რომელთაც გადაეცემა თქვენი პერსონალური მონაცემები;
ე) მოითხოვოთ მონაცემების შესწორება იმ შემთხვევაში, თუ ისინი არაზუსტად ან არასრულად არის დამუშავებული;
ვ) მოითხოვოთ პერსონალური მონაცემების წაშლა ან განადგურება;
ზ) მოითხოვოთ, რომ „ე“ და „ვ“ პუნქტებით განხორციელებული მოქმედებების შესახებ შეტყობინება მიეწოდოთ მესამე მხარეებს, რომლებსაც
პერსონალური მონაცემები გადაეცა;
თ) შეეწინააღმდეგოთ იმ შემთხვევაში, თუ პერსონალური მონაცემების ანალიზი მხოლოდ ავტომატიზებული სისტემების
საშუალებით არასასურველ შედეგს იწვევს;
მოითხოვოთ ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ პერსონალური მონაცემების უკანონო
დამუშავების შედეგად განიცადეთ ზარალი

11.27 გაერთიანებული სამეფო

თუ თქვენს მონაცემებზე ვრცელდება გაერთიანებული სამეფოს GDPR და/ან 2018 წლის მონაცემთა დაცვის კანონი, მონაცემთა დაცვის მიმართულებით გაერთიანებულ სამეფოში Roche-ის წარმომადგენელია: Roche Diagnostics Limited, Charles Avenue, Burgess Hill, West Sussex RH15 9RY, United Kingdom, ელფოსტა: burgesshill.dataprivacy@roche.com

11.28 ურუგვაი

თუ ურუგვაიში ცხოვრობთ, თქვენი უფლებები და პერსონალური მონაცემები რეგულირდება შემდეგი სამართლებრივი აქტებით: პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით
№18.331, ბრძანებით №414/09, ბიუჯეტის შესახებ კანონით №19.670, მუხ. 37-40, ბრძანებით №64/20

11.29 აშშ

თქვენი უფლებები, თუ თქვენს მონაცემებზე კალიფორნიის ან სხვა კონკრეტული აშშ-ის შტატის კანონმდებლობა ვრცელდება. თუ ხართ კალიფორნიის ან აშშ-ის სხვა კონკრეტული შტატის რეზიდენტი, შეგიძლიათ გაეცნოთ იმ უფლებების აღწერილობას, რომლებიც შესაძლოა თქვენთვის ხელმისაწვდომი იყოს აშშ-ის დამატებით შეტყობინებაში კონფიდენციალურობის შესახებ. წინამდებარე შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ შეიცავს Roche-ის საკონტაქტო ინფორმაციას, რათა შეძლოთ ნებისმიერი უფლების გამოყენება, რომელიც შეიძლება გქონდეთ შტატის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.